თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 26

„20“ აპრილი 2016 წელი

## თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „სამართლიანობა“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ“

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. მიღებულ იქნეს ცნობად თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „სამართლიანობა“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „სამართლიანობა“ თავმჯდომარის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

გაწეული საქმიანობის შესახებ.

მოგესალმებით, როგორც მოგეხსენებათ მე გახლავართ ფრაქცია ,,სამართლიანობა“-ს თავმჯდომარე მერაბ თუშიშვილი, ფრაქციის წევრები არიან ბატონი მერაბ ხიზანიშვილი და ბატონი გელა აზიკური.

მიუხედავად იმისა, რომ ფრაქცია ,,სამართლიანობა“ სულ რაღაც 10 თვის შექმნილია, ჩვენ შევძელით საკრებულოსა და გამგეობის შესაბამისი სამსახურების დახმარებით მოსახლეობას გადავუწყვიტეთ გარკვეული პრობლემები. ფრაქცია რეგულარულად ატარებს სხდომებს, მათ შორის ფრაქციამ გამართა გასვლითი სხდომა, სადაც შევხვდით და ადგილზე მოვისმინეთ ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები, მოსახლეობის მოთხოვნით მივმართეთ საგზაო დეპარტამენტს და შინაგან საქმეთა სამინისტროს. მათ გაიზიარეს ჩვენი თხოვნა და ვარდისუბნის ბაგა-ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე აღადგინეს სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები, ,,იმერლების'' დასახლებაში დააყენეს რადარი, ასევე ცენტრალურ გზატკეცილზე მონიშნეს საქონლის გადასარეკი ტერიტორიები.

ფრაქცია აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების გაკონტროლებაზე, ასევე მონაწილეობა მივიღეთ ბიუჯეტის განხილვაში და ჩვენი წინადადება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდასთან დაკავშირებით წარვუდგინეთ გამგეობის საფინანსო სამსახურს.

ფრაქცია ,,სამართლიანობა“ ამჟამად მუშაობს სოფლებში ქუჩების დამისამართების საკითხზე, საპილოტე სოფლად ავიღეთ სოფელი ვარდისუბანი. მოსახლეობის აქტიური ჩარევით და მხარდაჭერით გავაკეთეთ ქუჩების დამისამართება და ახლა ველოდებით ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნას.

ამასთან, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ბატონ მერაბს და ბატონ გელას ფრაქციის სხდომებში აქტიური და ნაყოფიერი შრომისათვის.

ფრაქცია „სამართლიანობა“

თავმჯდომარე მერაბ თუშიშვილი